# სახალხო გაზეთი

№ 179 ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 179

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპოდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



გულდამწვარი მშობლები არჩილ გიორგის ძე და ედუკია ნესტორის ასული ცხვედიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უსაყვარლესი შვილისას

ვალიკო არჩილის ძის ცხვედიანისას.

მიცვალებულის ბინიდან (თეოდოსიას ქუჩა სახლი № 10) ხვალ წაასვენებენ ლეჩხუმის მაზრაში ს. ქვიშარს. გამოსვენება დანიშნულია ნაშუადღევის 3 საათზე. (1—1)

## ქართული თეატრი

ბენეფისი მ. ა. აბაშიძისა

კვირას, 12 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## ქმართა სკოლა

კომედია 3 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

## მუსიკა და დეკლამაცია

III

## გულმა იგრძნო

დრამ. 1 მოქ. თარგ. მ. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, პიერრეტა, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გვარამე, ზარდალიშვილი, მამფორია, მელქისეთხუცესიშვილი, ვ. მატარაძე, მაჭავარიანი, მგალობლიშვილი, კანდელაკი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე. ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოებისა.

5—2

## ბუნებრივი კახური ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ვენახებიდან

## ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—12) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

Adresse Télégraphique SANITAS

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

## Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами

Тифлисъ, Баку, Батумъ.

## დივინა

სასიყვარულო ახალ დროის სურნელოვანი წყალი

## კალოდერმა—ცილე და კალოდერმა საპონი.

კანის სინაზისათვის.

ფ. ვოლდვობა და შვილის წარმოება. (1—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^{1}/_{2}$ ს.

ხოდოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (200—ნ.—846)

## ბავშვის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ჩ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^{1}/_{2}$ $12^{1}/_{2}$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—509)

## სამოგზაო ბაზარი

იხილეთ მე-4 გვერდზე



იხილეთ მე-4 გვერდზე



## თამბაქოს ახალი ქარხნის გამგეობა

ФАБР МАРКА 1910 Т-ВА

## კომეტას ამხანაგობისა

(ტფილისი, ავჭა „КОМЕТА“ ლის ქუჩა № 8)

ТИФЛИСЪ

საზოგადოებას აუწყებს, რომ დღევანდლიდან ტფილისის და კავკასიის სხვა ქალაქებში გასასყიდად გამოვიდა ჩვენის თამბაქოს ქარხნის ნაწარმოები. საზოგადოებისათვის მიგვინდვია თვითონ შეადაროს ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებულ თამბაქოს ღირსება სხვათა ნაწარმოებს; გამგეობა საჭიროდ ჰრაცხს აღნიშნოს, რომ საწყობში დიდძალი სათადარიგო მასალა აქვს დაწყობილი, კარგად გამშრალი, დახელოვნებულის ოსტატის ხელით დამზადებული და გადარჩეული. ჩვენს ნაწარმოებს რბილი გემო და სასიამოვნო სურნელება აქვს. ყოველი საშუალება მიღებული, რომ ამხანაგობა კომეტას ქარხნის ნაწარმოები მუდამ აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნილებას, რაც საუკეთესო თამბაქოს მოეთხოვება.

ამაში ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, ვინც მუდამ მოიკითხავს პაპიროსებს:

| | |
|---|---|
| № 1 გალეია—25 ცალი 38 კაპ. | № 9 ფურორ (25 ც. 15 კაპ. |
| „ 2 არისტოკრატიული—25 ც. 30 კ. | „ 10 აფიცრისა (და |
| „ 3 ხან-კეფი—25 ც. 30 კ. | „ 11 გალლეია (10 ც. 6 კაპ. |
| „ 4 სამაგალითო—25 ც. 25 კ. | „ 13 რენომე 10 ც. 5. |
| „ 5 იავა—10 ც. 10 ც. კ. | „ 12 როსკოშ—25 ც. 10 კ. 15 ც. 6 კ. 10 4 კ. |
| „ 6 ვენერა (25 ც. 15 კ. | „ 15 სვეტ 20 ც. 6. კ. |
| „ 7 იდეალი (10 ც. 6 კ. | „ 21 ეხო—20 ც. 5 კ. |
| „ 8 მინიონი ( | „ 20 ბარბა 20 ც. 5 კ. |

თამბაქო: მაგარი, საშუალოზე მაგარი და საშუალო.

გირვანქა ღირს 1 მან. 36 კაპ., 1 მ. 60 კაპ., 1 მან. 84 კ., 2 მ. 40 კ., 2 მ. 64 კ., 3 მ. 40 კ. და 10 მანეთზე ზევით.

(1—278—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 34.

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ც. ამირეჯიბისა და ან. ჩირგაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მედეია

ისტორ. დრამა 5 მოქმ. სუვორინისა და ბურენინისა, თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ამირეჯიბი, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი, ჩირგაძე. ბ-ნნი: გუნია, გედევანოვი, მამფორია, მდივანი, ყიფიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს საათზე.

რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 11 დეკემბერს,

მუსიკალური საზოგადოების მიერ დადგმულ იქმნება ოპერა

## სევილიელი დალაქი

მონაწილეობენ: ქ-ქ აგასოვისა, შენინგი, ბ.ბ. ბროდჯი, აგასოვი, ბუტი, ინაევი. კურბატოვი, კუზაკოვი და სხვა. დირიჟორი პ. პ. ფალიაშვილი.

რეჟისორი მღერის პროფესორი ენრიკო ბროჯი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ფასები 5 კ.-დან 80 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

(3—271—1) ადმინისტრატორი თ. დოლიძე.

## მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—17)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—32)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ექიმი

## ი. ზ. ჩუდნოვსკი

ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობათა იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პეტერბურგის ქ. სახლი № 3. (1—1)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—50

◀ საჭიროა ▶

## ვისრამიანის წიგნი

ფასი მიიცემა 3 მ.

შემოიტანეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

**ექიმი** ე. მ. აშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—283

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი

ხწავლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქ. N 33. (100—41)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—ნ.—102)

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—27)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (ფ)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გუნიაის ქ. ტელეფონი N 816.


## ტფილისი, 9 დეკემბერი

**ელზას-ლოთარენის კონსტიტუცია.** ევროპის ყველა სახელმწიფოები, რომელთა მცხოვრებნიც ერთფეროვან ეროვნულ მასსას არ შეადგენენ, წლითი-წლობით იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ მათს მომავალს და იდეალს შეადგენს არა უნიტარული პოლიტიკური ორგანიზმი არამედ ფედერატიულად შეკავშირებული კრებული ავტონომიურ სახელმწიფოებისა. ამ საფედერაციო მოძრაობის სათავეში ინგლისი სდგას. ინგლისი თავის ახალშენებს, ევროპის გარეშე, ისეთ ფართო თვითმმართველობას აძლევს, რომ ისინი უფრო დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა ჰგავან, ვიდრე ბრიტანიისაგან დაპყრობილ ქვეყნებს. ხანგრძლივი გამოცდილება და საქმის ეხლანდელი მდგომარეობა ჰქმნის შეურყეველ რწმენას, რომ ფართო ავტონომიურ უფლებების მინიჭება საზიანო კი არა, პირიქით, სასარგებლოა, როგორც ამ ქვეყნებისთვის, აგრეთვე მეტროპოლიისთვის. ინგლისში, როგორც მკითხველმა იცის, კაი ხანია საზოგადოებრივი აზრი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ირლანდიის ავტონომიის საკითხის გამო. ინგლისის ლიბერალური და დემოკრატიული ნაწილი მხურვალე მომხრეა ირლანდიისთვის ავტონომიურ უფლებების მინიჭებისა და ცხარე ბრძოლას ეწევა ამ ნიადაგზე ინგლისელ კონსერვატორებთან. როგორც ლონდონის დეპეშები გვაცნობებენ, ეხლანდელ არჩევნებში გამარჯვება ლიბერალებსა ჰრჩებათ, და უნდა ვიფიქროთ, მალე ირლანდიაც ეღირსება იმ ჰომრულის განხორციელებას, რომელსაც ასწლოვანი ისტორია აქვს.

ინგლისი საფედერაციო მოძრაობის მესვეურია, მაგრამ უამხანაგო არ არის. სხვათა შორის ამ მიმართულების ხაზზე ახალ ნაბიჯის გადადგმას აპირებს გერმანიაც. 1871 წელს საფრანგეთის და პრუსსის ომიანობამ მოჰგლიჯა საფრანგეთს მდიდარი კუთხე, რეინის მარჯვენა ნაპირზე, ელზას-ლოთარენი და დაუქვემდებარა გერმანიას. ელზას-ლოთარენი ოდესღაც გერმანელების ქვეყანა იყო და გერმანიის პოლიტიკოსებს ერთხანად იმედი ჰქონდათ, რომ ამ პროვინციის მცხოვრებნი ახლო მომავალში იგრძნობდნენ ძველ Vaterland-თან შეერთების სიტკბოებას და სიამოვნებით შეურიგდებოდნენ თავის ბედს. გერმანულ საიმპერიო პატრიოტიზმის გასაღვივებლად პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ხან რბილი რეჟიმი აამოძრავეს ელზას-ლოთარენში, ხან სასტიკი, მაგრამ ხალხი მაინც ვერ გადიბირეს. ხალხის სული და გული ისევ საფრანგეთთან იყო, იმისი პოლიტიკური სიმპატია ისევ დაკარგულ სამშობლოს, საფრანგეთს, ეკუთვნოდა. გერმანელმა პოლიტიკოსებმა ელზას-ლოთარენში საფრანგეთის მთავრობისაგან შემოღებული ადმინისტრატიულ მართვა-გამგებლობაც კი ხელუხლებლივ დასტოვეს, რათა ნაკლები საბაბი ყოფილიყო უკმაყოფილების გრძნობისათვის, მაგრამ არც ამ საშუალებამ უშველა. ერთად ერთი გზა ელზას-ლოთარენის შესარიგებლად ახალ სამშობლოსთან ავტონომიურ უფლებების მინიჭება იყო და გერმანიის მთავრობაც ამ გზას დაადგა.

ელზას-ლოთარენის ავტონომიური უფლებები თანდათან და მძიმე-მძიმედ ფართოვდება. ამ უფლებათა ისტორიას არ გამოვუდგებით აქ, ვიტყვით მხოლოდ, რომ 1871 წ. 9 ივნისის კანონით, ელზას-ლოთარენში აღმასრულებელი უფლება მიენიჭა გერმანიის იმპერატორს, ხოლო საკანონმდებლო—რეიხსტაგს და საკავშირო საბჭოს. მაშასადამე, გერმანიასთან შეერთების პირველ ხანებში ელზას-ლოთარენს არავითარი თვითმმართველობითი უფლება არა ჰქონია. პირველი შთანასახი თვითმმართველობისა გაჩნდა 1874 წელს, როდესაც იმპერატორის დეკრეტით დაკანონდა ელზას-ლოთარენის სეიმი (Landesausschuss). ამ დაწესებულებას შეადგენდა 58 არა-

ჩეული პირი, 'რომელნიც მოიწვევონ ყოველ წლივ. ამ სეიმს გადამწყვეტი ხმა არა ჰქონია, იგი მხოლოდ სათათბირო ხმით იყო აღჭურვილი. 1877 წელს გამოიცა ახალი კანონი, რომელიც გერმანიის იმპერატორს ნებას აძლევდა რეიხსტაგის დამოუკიდებლივ გამოეცა კანონები ელზას-ლორენისთვის, იმ პირობით კი, რომ ეს კანონები მოწონებულ ყოფილიყო საკავშირო საბჭოსა და ელზას-ლორენის სეიმისაგან. ამგვარად სეიმს ცოტა-ოდენი საკანონმდებლო ხასიათი მიეცა, თუმცა ამას მაგრე რიგად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან საკანონმდებლო უფლება რეიხსტაგს წინანდებურად შერჩა. უკანასკნელ და დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ელზას-ლორენის ავტონომიზაციისკენ გერმანიამ ეხლა ხან გადასდგა.

ორი დღის წინ ბერლინიდან დეპეშამ მოიტანა ცნობა: გერმანიის საკავშირო საბჭომ მიიღო და მოიწონა მთავრობის კანონ-პროექტი ელზას-ლორენის კონსტიტუციის შესახებათ. ეს კანონ-პროექტი, უეჭველია, დამტკიცებულ იქნება იმპერატორისაგან და ამ გვარად, 40 წლის ავტოკრატიულ მმართველობის შემდეგ, ელზას-ლორენს ფართო ავტონომიური თვითმმართველობა მიენიჭება. ახალის კანონ-პროექტით ელზას-ლორენის შინაური საქმეები დაექვემდებარება საკუთარ კანონ-მდებლობას, რომელსაც გასწევენ ელზას-ლორენის ქვედა და ზედა პალატა; რეიხსტაგის და საკავშირო საბჭოს საკანონმდებლო უფლებები ელზას-ლორენის საქმეებში მოისპობა; აღმასრულებელი უფლება კი წინანდელივით იმპერატორის მოადგილის stathalter-ის, ხელში დარჩება.

ცვლილება ელზას-ლორენის მართვა-გამგეობის საქმისა საინტერესოა სხვათა შორის იმ მხრივ, რომ იგი გვიჩვენებს, რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების პირობებში დიდრონ და ძლიერ სახელმწიფოებისათვის, ნდობით მოეკიდნონ შემოერთებულ ქვეყნებს და მათვე მიანდონ თავის საკუთარ შინაურ საქმეების გაძღოლა. წინააღმდეგ ძველის შეხედულებისა, რომელიც შემოერთებულ ქვეყანას არაფერს არ ანდობდა და მუდამ ღალატის კერად სთვლიდა, ევროპაში თანდათან ფეხს იკიდებს სრულიად სხვა აზრი. რწმუნდებიან არა მარტო ლიბერალები, არამედ კანსერვატორებიც და თვით მთავრობანიც, რომ სახელმწიფოს ძლიერებისათვის ყოველთვის და ყოველ პირობებში უნიტარული რეჟიმი კი არა, ხშირად ავტონომიური რეჟიმია საჭირო.

# სახელმწიფო სათათბირო

**კაპუსტინი თავმჯდომარეობს.**

ხელმწიფე იმპერატორისაგან საპასუხო დეპეშას კითხულობენ, რომელთაც იგი დაგვირგვინების დღეს მისალოც დეპეშის გამო უგზავნის სათათბიროს: „სათათბიროს მადლობასა ვწირავ მილოცვისთვის. „ნიკოლოზი" დეპეშას ფეხზე ამდგარნი ისმენენ და სამგზის ვაშას ძახილით ეგებებიან.

**მორიგ საკითხად ნორმალურ დასვენების პროექტის მეოთხე მუხლია.** ამ მუხლით, ზოგიერთ დარგებში ვაჭრობა 15 საათით შეიძლება განისაზღვროს, ხოლო ისე კი, რომ მორიგეობა შემოიღონ, ან ზედმეტი ხელფასი ეძლეოდეთ მსახურთ.

**პრედკლანის** აზრით შეიძლება 24 საათის მუშაობაც შემოვიღოთ, ხოლო ყოველ 8 საათის შემდეგ მუშები უნდა იცვლებოდნენო.

ამ მუხლს კომისიის რედაქციითა ღებულობენ შემდეგის შესწორებით: საწვრილმანო დუქნებში სავაჭრო დღე 12 საათით განისაზღვროს, ხოლო 15 საათს აღარ გადასცდეს. მაგარ სასმელებით მოვაჭრე დუქან-სამიკიტნოებში კი სავაჭრო დღე 12 საათს არ აღემატოს.

მე 5 და მე-8 მუხლი ხანგრძლივ კამათს იწვევს. ამ მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ, შემდეგის შესწორებით: დუქან-მაღაზიებში მოსამსახურეთ უფლება აქვთ, მოცლილობის დროს, ისხდნენ და იკითხონ რამე, რისთვისაც სავალდებულოა ყველასათვის იქონიონ საკმაო რიცხვი საჯდომისა.

**თ დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.** კამათს იწვევს ახალ პროექტის მე-270 სუხლი, რომელიც თხოულობს, რომ თურქესტანში რაც მომთაბარეთ ადგილი მოსჭარბდებათ, მიწად მომწყობ მთავარ სამმართველოს გადაეცესო.

**დზუბინსკის** აზრით, უკეთუ პროექტი მიიღეს, სახნავი მიწები, ვენახები და სარწყავი მიწები მაინც არ უნდა ჩამოერთოთ ადგილობრივ მკვიდრთაო.

**მილიუკოვის** რწმენით, ეს პროექტი რეაქციონურ მთავრობის ნაცოდვილარია, იურიდიულად გამოსარჩლების ღირსი არაა. პრაქტიკულად—საჭირო არ არის და პოლიტიკურად—სახიფათოა. თურქესტანის მხარეს არამც თუ თავისუფალი მიწები არ მოეპოვება, წესიერად რომ მიეზომოთ, სახნავი და სათიბი მიწები არც კი გასწვდებათო თურქესტანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამისათვის ადგილობრივი მკვიდრნი რუსეთმა მადლიერი უნდა იყოლიოსო. (ოპოზიცია ტაშს უკრავს, მარცხნივ—სტვენა და ყვირილი).

**გადასახადების სამმართველოს უფროსი** ამტკიცებს, კანონ პროექტის საჭიროებს და აცხადებს: თუ ყირგიზ და რამდენიმე შეთხუპნულ ქოხების აღება გენანებათ, ისიც გახსოვდეთ რა მდგომარეობაშია გადასახლებული რუსობა, რომელიც დღემდე ვერ მოიწყობილაო. (ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

წინადადება შეაქვთ ამ საგანზე კამათი სრულებით მოისპოს, რომელსაც ღებულობენ.

**მილიუკოვი** აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი გადასახლება მხოლოდ კერძო თაოსნობით შეიძლება და არც ერთი განათლებული ქვეყანა არ იკადრებს აშკარა მტაცებლობას, მაგრამ, ჩანს, სათათბიროს უმრავლესობა არავითარ გონიერ დასაბუთებას ყურადღების ღირსად არა სთვლის (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

წინადადებს შეაქვთ, პირველ მუხლის თაობაზე კამათი სრულიად მოისპონ.

**ხასმამედოვი.** გულის წყრომას აცხადებს უმრავლესობის მიერ უმცირესობისადმი მიმართულ ასეთ ძალმომრეობას. კამათის მოსპობას კენჭს უყრიან. მოსპობის წინააღმდეგ 95 აძლევს ხმას, დებულების ძალით კი 100 მაინც უნდა.

კამათი ისპობა.

123 ხმით 71 წინააღმდეგ პროექტს მთლიანად ღებულობენ.

**დზუბინსკი და გეგეჭკორი** წინადადებას იძლევიან, კრესტოვნიკოვის ქარხნის მუშათა და საავტომობილო საზოგადოებას შოფერთა მშვიდობიან გაფიცვის დევნაზე შეტანილი შეკითხვის მოხსენება ორს კვირაზე წარმოადგინონო.

წინადადება უარჰყვეს

შემდეგი სხდომა ხვალისთვის დაინიშნა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**იოკოჰამა.** საპარლამენტო სპეციალურ კომისიათა სხდომაზე გაზეთების წარმომადგენლებს აღარ შეუშვებენ.

**ნიუ-იორკი.** ნალპაზოს მახლობლად ორის დღის განმავლობაში მთავრობის ჯარსა და მეამბოხეთ ბრძოლა ჰქონდა, ზარალი დიდია.

**ათინა.** ვენიზელოსის მთავრობა სცდილობს კრიტოსის საქმე არ გაამწვავოს. მფარველ-სახელმწიფოთა ელჩებსა სთხოვეს, ეროვნულ უფლებისათვის მებრძოლ კრიტოსელთა სისხლად დაწრეტას ხელს ნუ შეუწყობთო.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა მინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას პარასკევსა და შაბათს განიხილავენ. პიშონსა ჰსურს საშობაო დღესასწაულამდე გააცნოს პალატას საფრანგეთის საერთაშორის მდგომარეობა.

**ბუდაპეშტი.** დელეგაციას 15 დეკემბერს მოიწვევენ.

**პარიზი.** ხვალე განიხილავენ გაფიცვისათვის დათხოვნილ რკინის გზებზე მოსამსახურეთა მიღების საკითხს, ბრიანი მიღების წინააღმდეგ ილაპარაკებს.

**მთრავიის კუნძულები.** გაზეთების ცნობით, აქედან ავსტრიაში გაძევეს რამდენიმე ასეული რუსეთის ებრაელი, რომელთა იქ ყოფნა საზოგადოებრივ მყუდროებისათვის საშიშროდ მიიჩნიეს.

**ბერლინი.** ათინიდან იუწყებიან, რომ კრიტოსის კუნძულზე მფარველ-სახელმწიფოთა ნოტის გამო, მდგომარეობა გამწვავდა. ეროვნულმა კრებამ, საგანგებო კრებაზე, სახელმწიფოთა წინააღმდეგ გულისწყრომა გამოაცხადა, რადგანაც იგინი ახლა ოსმალეთის სუვერენობას ელიარებენ.

**ნიუ-იორკი** ელექტრონის მთავარ სადგურზე აფეთქებამ 14 კაცი იმსხვერპლა, 200 დაშავდა. მახლობელ სახლებს დიდი ზიანი მიაყენა, 5000 შუშა ჩალეწა. აფეთქებამ ქუჩაში ხალხი პირქვე დაამხო, გადააბრუნა.

**რ უ ს ე თ ი**

**გაგრა.** მშვენიერი, თბილი დღეებია, გარედ სითბო 30 გრადუსზე ადის, ცელსიით. ზღვა მიწყნარებულია. ბევრი მცენარე და ყვავილი გაიშალა. მანდარინის, ფორთოხალისა და ლიმონის რთველია.

**ლიბავა** გაზის ქარხანაში აფეთქება მოხდა, სამი კაცი იმსხვერპლა. მთელი ქალაქი გაუნათებლად დარჩა.

**დერბენდი.** გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე და დღეს ღამით ნელი მიწის ძრვა იყო.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც იკრძალება დანააშაულობის შექება და მთავრობის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა შესახებ ცრუ ხმების გავრცელება. იკრძალება სწავლის შეწყვეტის გამოწვევა, ძალდატანება სწავლის შეწყვეტაზე, სავაჭრო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში მუშაობის შესაწყვეტად კერძო პიროვნებაზე ძალ მომრეობის გამოჩენა. დამნაშავეთ 500 მანეთით დააჯარიმებენ ან 3 თვით ციხეში ჩაჰსვამენ.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **კოტე მესხის იუბილე.** სახალხო სახლთან არსებულმა რუსულმა დრამატიულმა ჯგუფმა დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს არტისტის კოტე მესხის იუბილეში, რომელიც 21 დეკემბერს სახაზინო თეატრში უნდა გაიმართოს.

✦ **ტფ. ტრამვაი.** თანახმად ტფ. ქალაქის თვითმართველობასთან დადებულ ხელ-შეკრულობისა, ტრამვაის საზოგადოება მოვალეა, ამ წლის 11 დეკემბრიდან ქალაქში ამუშაოს 94 მოტორიანი ვაგონი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს უფლება ეძლევა ტრამვაის საზოგადოება დააჯარიმოს.

✦ **ჯარის შესანახი ხარჯი.** ტფ. ქალაქის გამგეობას ამ ჟამად გადასახდელი აქვს ჯარის შესანახი ხარჯი—26.000 მანეთი, მაგრამ უსახსრობისა გამო დღემდე ვერ მოუხერხებია ფულის გადახდა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს ფული შეიტანოს ქალაქის დამატებით ხარჯთ აღრიცხვაში

✦ **შავი ჭირის მოლოდინში.** გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე შავ ჭირთან საბრძოლველად ქალაქის სათადარიგო თანხიდან 6.000 მანეთის გადადების შესახებ.

✦ **საჩივარი.** უმაღლეს მთავრობას წარუდგინა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის საჩივარი, 16.000 მანეთი უკანონოდ გადაგვხდა იმ ჯარის-კაცთა ოჯახობის შესანახად, რომელიც სამხედრო სამსახურში ჩვეულებრივ ვადაზე მეტს დარჩენო. ეს საჩივარი ამ ჟამად განხილველად გადაცემულია მთავარ საინტენდანტო სამმართველოში პეტერბურგში.

✦ **ტფ. ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.** ქალაქის მცხოვრებლები, რომელთაც ჰსურთ, მონაწილეობა მიიღონ საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნებში, მოვალენი არიან მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადი მომავალ წლის პირველ იანვრამდე გადაიხადონ.

✦ **ლოტო.** ამ დღეებში შეერთებული კრება ექმნებათ ტფ. კლუბების მამასახლისთა საბჭოებს ლოტოს თამაშობის წესთა შესამუშავებლად.

✦ **თავად-აზნაურთა შორის.** სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწედ არჩეულ იქმნა თავ. მ. რ. ვაჩნაძე.

✦ **გადასახლებულის მოკვლა.** არხანგელის გუბერნიის ქალაქ ონეგადან ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ იქ გადასახლებულ შაქრო კახურაშვილის ოჯახობის საყურადღებოდ შემდეგი: დუშეთიდან აქ გადმოსახლებული შაქრო (ზაქარო) გრიგოლისძე კახურაშვილი 1 აგვისტოს სიმთვრალის დროს მოკლულ იქმნა კეტით ადგილობრივ მცხოვრებს მიერ და დასაფლავებულია ადგილობრივ მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. განსვენებულს გადმოსახლების ვადა გათავებული ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად მეგობრების რჩევისა, არც სახლში დაბრუნდა და არც ლოთობას გაანება თავი. მკვლელი მესამე დღეს განთავისუფლეს.

✦ **ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებაში.** ამ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე დადგენილ იქმნა: 1) აღიძრას შუამდგომლობა სახელმწიფო მამულების სამმართველოს წინაშე სანატორიისთვის აბასთუმანში 5 დესეტინა სახაზინო მიწის დათმობის შესახებ, 2) მადლობა გადაეხადოს ნამესტნიკის მეუღლეს 1,500 მანეთის შეწირვისათვის და 3) დამტკიცებულ იქმნას პროექტი იმ ხელ-შეკრულობისა, რომლითაც მომავალ სანატორიაში ბაქოს ქალაქის თვით მმართველობამ 15 საწოლი უნდა მოაწყოს და საზოგადოებას წელიწადში 22,500 მან. უნდა აძლიოს. დასასრულ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სანატორიის პროექტის შემუშავება. კომისიაში შედიან: ბ ნნი

# გლოვა

(სილ. ს—ძის ხსოვნას)

სიმს დავთალხავ ძმის საფლავთან,  
არ მსურს გულმა მოილხინოს,  
ტანჯულ მუშის ცივ ცხედართან  
დაე ჩანგმაც დაიგმინოს.  
აწ არ ჰნათობს იგი სხივი,  
რომ აკრთობდა შავ-ბნელ წყვდიადს,  
იდეალის მოტრფიალე  
ვერ მოუხმობს კვლავ განთიადს.  
მოსწყდა სოფელს სოფლის შვილი,  
კვლავ ატირდა შრომის კერა,  
მუხთალია, აღარ გვინდობს,  
უკუღმართი ბედის-წერა!  
ნორჩი ნიჭი, ნორჩი ძალა,  
ქვეყნისათვის ნათელს ჰქმნიდა,  
ჰსურდა: ჯვარი წამებისა  
გოლგოთაზე აეზიდა.  
მაგრამ ხვედრი, მკაცრი ბედი,  
თურმე იმის დღეებს სთვლიდა,  
დუშმანი გულ-განაზარი  
ნექტრით სავსე ფიალს სცლიდა.  
და აღსრულდა... ის დაეცა...  
სისხლად გადნა რწმენის გული,  
ჩაიძირა შვების ხმები,  
ჩაიფერფლა სიყვარული!  
სიმებს ვთალხავ ძმის საგლოვად,  
არ მსურს სულმა მოილხინოს,  
ტანჯულ მუშის ცივ ცხედართან  
დეე, ჩანგმაც დაიგმინოს.

**ნ. ჩხიკვაძე.**

# რთული კითხვა და საკვირველი უყურადღებობა

(ხ მ ა შ ო რ ი დ ა ნ).

სწორედ წელიწადია მას შემდეგ, რაც „დროება"-ს ერთ მოწინავეში ვსაყვედურობდი სოფლის მეურნეობისა, მოსავლისა და სხვა სოფლის კულტურის ფაქტორებისადმი უყურადღებობაზე. 1909 წლის საშინელი მოუსავლობა დასავლეთ აღმოსავლეთ საქართველოში, პურისა და სოფლის ყოველგვარ ნაწარმოების წარმოუდგენელმა სიძვირემ, შიმშილმა... იძულებული გახადა ჩვენი ყურ-წაღესილი საზოგადოება გამოეღვიძა და თავისი შეხედულება გამოეთქვა ტრაგიკულ მდგომარეობაზე. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მეურნეებმა შიმშილის საწინააღმდეგოდ პრაქტიკულ ზომასაც მიმართეს, პრესამ ხმა ამოიღო და ერთიანად დაინტერესა ფართე საზოგადოება მდგომარეობის სირთულეში.

ყველასათვის აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ერთის წლის მოუსავლობა და შიმშილია საკმარისი, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება სასოწარკვეთილებამ და უბედური მოვლენებმა მოიცვას, რომ ყოველგვარ აღტყინებას ფრთები შეაკვეცოს და ქვეყანა ფაქტიურად დაასამძიმროს. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ ჩვენი ცხოვრების შესწავლა და გათვალისწინება, საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ძალთა განწყობილებათა მეცნიერულად გარკვევა სადღეისო და უპირველესად მნიშვნელოვან საკითხად გადაიქცა.

მაგრამ, კვლავ ნაკლები ყურადღება პირველ სიფხიზლის შემდეგ, კვლავ წაილესა საზოგადოებამ ყური და როცა 1910 წლის კარგი მოსავალი მოვიდა საქართველოს ორსავე კუთხეში—სასოწარკვეთილებისა და შიშის აჩრდილი მყისვე გაჰქრა და დღეს ხმასაც არ იღებენ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება თუნდ პურისა და სხვა სოფლის მოსავალი...

სრულიად ამის წინააღმდეგი ხდება და მოხდა რუსეთში. რუსეთიც ერთიანად სოფლის ნაწარმოებზე დამყარებული, როგორც კი 1909 წ. შესანიშნავი მოსავალი მოვიდა რუსეთში, ამ გარემოებით მოწინავე საზოგადოებას ყური კი არ წაულესია, არამედ, ამ დროს საზოგადოების თითქმის ყველა ელემენტებმა ამოიღეს ხმა და იმის საქმეს შეუდგნენ, რომ რაიმე ნაირად მოსავალის შედეგები მართლა დამჩნევოდა, როგორც ხაზინას, ისე თვით მწარმოებელთ. დემოკრატიულ-პროგრესიულ მწერლობიდან ბურჟუაზიულ-რეაქციონურამდე ყველანი ამ კითხვას შეეხნენ და სტოლიპინ-რუხლოვის მთავრობას მთელი რიგი ზომები მიაღებინეს, რათა სოფლის ნაწარმოებიდან რუსეთის საზოგადოებას მეტი სარგებელი ენახა.

მაგრამ რაა ჩვენში?

წელს ჩვენში კარგი მოსავალი მოვიდა, განსაკუთრებით სიმინდის —დასავლეთ საქართველოში, მაგრამ, არ გასულა სულ რამდენიმე თვეც პურის ალაგების შემდეგ, რაც გაზეთებში, „ახალ-გზაში" და აგრეთვე „სახალხო გაზეთში" კორესპონდენტებმა აღნუსხეს, რომ გლეხები სიმინდს ხელოვნურად ახმობ-აშრობენ და ბაზარზე გააქვთ გასასყიდათ!

სოფლის ნაწარმოების ბაზარზე გატანა და ფულზე გადაცვლა—ეს სრულებით ბუნებრივი პირობაა საქართველოს თანამედროვე ცხოვრების ეკონომიურ პირობებისა, მაგრამ საგულისხმიერო და საკითხავი აქ ის არის, თუ რა პირობებში იცვლება ერთი საქონელი მეორეზე? ამ გადაცვლისა და ყიდვა-გაყიდვის პროცესში რა პირობებში ვარდება მწარმოებელი ძალა — საზოგადოება, რომლის სარგებელსა და კეთილდღეობას მთელ სულითა და გულით, ენერგიით უნდა მივისწრაფოდეთ.

აი, რაც ამ გაცვლა-გამოცვლისა და ბაზრის პირობებს ვაკვირდებით, ჩვენს განცვიფრებასა და გულისწყრომას საზღვარი არა აქვს, როცა გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ბაზარზე მაგ. სიმინდი—ეს უმთავრესი ნაყოფი სოფლის მეურნეობისა 35 კაპ. და 40 კაპ. იყიდება ფუთიო! ხუმრობა კი არაა, თუ პურის საერთაშორისო ბაზანდა ამავ საერთაშორისო კონიუნქტურით მუდმივ რყევა-მოძრაობაშია და ფასიც იცვლება, იწევა მაღლა და ეცემა დაბლა—რაიც სრულიად არ გვაკვირვებს, საქართველოში სიმინდის და სხ. მოსავლის საბაზრო ფასის მოძრაობა კი ძლიერ გვაოცებს.

მართალაც, საერთაშორისო ბაზარზე პურის ფასის მოძრაობა 5, 10 ან 15% აწევ-დაწევაში იხატება, უფრო ხშირად ცვლილება სულ რამდენიმე ერთეულ პროცენტებზე, ჩვენში კი 1909 წელში, ფუთი სიმინდი 1 მ. და 1 მ. 20 კ. იყიდებოდა ბაზარზე (დღეს კი ასეთივე ხარისხის სიმინდი 35—40 კაპეიკათ!

საკვირველი და სავალალო გარემოებაა.

განა ყველასათვის აშკარა არ უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში გლეხს-მწარმოებელს წლევანდელ კარგ მოსავლიდან სრულებით არაფერი დარჩება, რომ ის კვლავ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება უმახლობელეს მომავალში, როცა იძულებული გახდება იაფად გაყიდული პური კაპიტალისტების ბეღელ-ელევატორებში გამოვლილი ძვირად იყიდოს?

მიუხედავად ამ ფრიად საგულისხმიერო მოვლენისა, ამ გარემოებაზე საზოგადოება ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ერთის წერილითაც კი არავის აღუნუსხავს მდგომარეობის სირთულე, რომ სპეციალისტ-მკვლევარნი არ მოვნახოთ, რომელსაც გამოეკვლიოს ამ საშინელ გარემოების ძირითადი მიზეზები.

სოფლის ნაწარმოებზე ფასი, საბაზრო ღირებულებაც იმავ კანონსა და წესებს ემორჩილება, რასაც სხვა ყველა შრომის ნაყოფი. ფასის აწევ-დაწევაზე მოწოდებისა და მოთხოვნილების რაოდენობას, რომ ფრიად დიდი გავლენა აქვს,—ამას პოლიტიკურ ეკონომიის ანბანის მცოდნენიც მიხვდებიან, მაგრამ ხშირად ამ საერთო კანონისა, არსებობს შემთხვევითი პირობები, რომლებსაც საბაზრო ფასზედ ფრიად დიდი გავლენა აქვს. ვინც რუსეთში გერმანულ პურის მოვაჭრეებს დაჰკვირვებია, ეცოდინება, თუ როგორ ხელოვნურად ხან მაღლა სწევდნენ და ხან აქვეითებდნენ პურის ფასს. „ამერიკელ კოროლები"— როგორც პროფ. მიგულინი ამბობს, მთელ რიგ სპეკულატიურ და ავანტიურისტულ ზომებს მიმართავდენ ხშირად, რომ პურის საბაზრო ფასები მხოლოდ მათვის გამოსულიყო ხელ-საყრელი და სასარგებლო. ყალბი სტატისტიკური ცნობები სხვადასხვა პურის მწარმოებელ ქვეყნების მოსავალზე, გაჭირვებულ ხალხის შერჩეულ დროთი ტყავის გაძრობა და სხვა ზომებით ერთიანად აკეთებდა მწარმოებელ საზოგადოებას.

ჩვენში?

განა „ამერიკელ კოროლებს" რაიმე საერთო აქვს ჩვენ სიმინდის ფასის დაცემაში?—იკითხავს გულ-უბრყვილო მკითხველი, მაგრამ, უნდა აღვნუსხოთ, რომ მართლა ამერიკელ კოროლები ჩვენში სპეკულაციას არ ახდენენ—საამისო ობიექტი ნაკლებია—მაგრამ ჩვენში არიან ჩვენი „ამერიკელი კოროლები", რომელნიც გაცილებით მეტ ზიანს აყენებენ მწარმოებელ ხალხს, ვინემ ამერიკელნი. ესენი გახლავთ სოფლისა და დაბების ჩარჩ-წურბლები, სიმინდითა და სოფლის ნაწარმოების მყიდველები, რომელნიც ყოველ საშუალებით იმას ცდილობენ, რომ რამე ნაირად იაფად გამოსტაცონ ხალხს ხელიდან თავისი ნაოფლარი საქონელი, რამდენათაც შეიძლება გამოიყენონ გამყიდველთა ნივთიერი სივიწროვე და მით თავისი უძირო ჯიბეები გატენოს. სოფლის მეურნეობის ნაყოფის ბაზრის სიდუხჭირე, ვაჭარ-ჩარჩების მთელი სინდიკატი და სპეკულიაცია დაქსაქსულ და შეუგნებელ ხალხს მწარმოებლის წინააღმდეგ—აი სად უნდა ვეძიოთ იმ საშინელ გარე-

რუდოლფ, ლამბაშიძე, ვაწაძე, სტეპანოვი, ზურაბიანცი, გოპაძე, ფეხნერი და ა. ხატისოვი.

**◆ კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც ვწერდით ბაქოს ქალაქის თვითმმართველობამ 500,000 მან. გადასდოს კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად, მაგრამ ეს დადგენილება ბაქოს გრადონაჩალნიკმა არ დაამტკიცა. როგორც გავიგეთ, ეს დადგენილება საბოლოოდ განსახილველად კავკასიის ნამესტნიკს წარედგინა.

**◆ ლიტერატურული საქმე.** 13 დეკემბერს ტფ. სასამართლო გაარჩევს საქმეს ჟურნალისტ ლევან ყიფიანისას, რომელსაც „რუსსკოე სლოვოს“ ტფილისელი კორესპონდენტი ი. კობიაკოვი გაზეთის საშუალებით ცილის დაწამებას აბრალებს.

**◆ შავ ჭირთან ბრძოლა.** ბათომის ქალაქის მოურავის თანაშემწის აღმასრულებელმა გ. ჟურულმა ტფ. ქალაქის გამგეობას დეპეშით სთხოვა, დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთ ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილი ფურცლები შავის ჭირის შესახებ ხალხში გასავრცელებლადო.

**◆ თავის მოკვლა.** 7 დეკემბერს „როსტოვ“-ის ნომერში თავი მოიწამლა სოფიო იოსების ასულმა ზელკერმა. ამ ზაფხულს იგი „მიმოზა“-ს ბაღში მღეროდა.

**◆ ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალის „განათლების“-ს დეკემბრის ნომერი.

**◆ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო მის სასარგებლოდ იურკევიჩის მეუღლე ანნა ვიქტორის ასულის თაოსნობით დაბა ჭიათურაში გამართულ წარმოდგენის შემოსავალი, 47 მ. საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის, როგორც ქ-ნს იურკევიჩისას, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ხსენებულ წარმოდგენის გამართვაში.

**◆ ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინა განსახილველად განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის ძეგლის სამი პროექტი.**

**◆ გამოვიდა და** სამხატვრო მკითხველთა დაურიგდებათ საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული“-ს საჩუქარი: დასურათებული ქართული ანბანი.

**◆** 7 დეკემბერს ბოდბიამ ტფილისში შეიტანა 56 უპასპორტო.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ბიბლიოგრაფიაში კორრექტურული შეცდომები შეპარულა, რაიცა ზოგჯან აზრს ამახინჯებს: მეორე სვეტის (ციტატის) მე 7 სტრიქონში ზევიდან სწერია „ახალ მეფემა“, უნდა იყოს ახალ მეფენო; მესამე სვეტის მე 9 სტრიქონში — „სუკუნოდ“, უნდა იყოს საუკუნოდ; მე-10 სტრიქონში — „ექვსის სტრიქონის ბოლოში ხშირად ნახმარია კავშირი კავშირი „და“; უნდა იყოს „ექვსის სტრიქონის ბოლოში ხშირად ნახმარია კავშირი „და“ ამავე სვეტში ქვევით სწერია: „აქ შეთანხმების გრამატიკული ერთიანობაა დაცული“, უნდა იყოს პირიქით: ერთიანობა არ არის დაცული; სწერია „ფეფე“. უნდა იყოს „ფებე“; ქვევით კიდევ „მართლა, შოთა რუსთაველი ორსავე ფორმას ხმარობდა“ ამ წინადადების წინ გამოტოვებულია ციტატა: „ძევსეს ნებამან, ჭეფსტის ხელმა“. წიგნის წინასიტყვაობის ციტატაში „ტექსტისაგან“-ის შემდეგ ფრჩხილებში უნდა იყო „ტექსტიდან“; „აგტესის მამა ჭელიოსი“, უნდა იყოს „ჰელიოსი“.

## ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების წერილის გამო.

„სახალხო გაზეთის“ მე-161 ნომერში ქუთაისის მომღერალთა საზოგადოება დიდის ამბით სცდილობს დაამტკიცოს, რომ მისსა და ჩემ შორის არავითარი „ანტაგონისტური დამოკიდებულება“ არ არსებობს. გამგეობის პირით იგი საქვეყნოდ თავს იმართლებს, ვითომ მას ჩემთვის არ ეღალატნოს და მეჭორეობას სწამებს ბ-ნ „ჯაფარ-ფაშას“, რომელმაც ჩემ წარმოდგენა-კონცერტის რეცენზია დასწერა. ამისათვის, უფრო კი სიმართლის აღსადგენათ, საჭიროდ მიმაჩნია, ჩემის მხრით, ორიოდე სიტყვა ვსთქვა: თუმცა ქუთაისში ჭორი და არაჭორი ძნელი გასარჩევია და ადვილი შესაძლებელია, კაცი უნებურად შესცდეს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ „ჯაფარ-ფაშა“ არა სცდება და თავის რეცენზიაში სრულ სიმართლესა სწერს. ქუთაისის მომღერალთა საზოგადოებამ ნამდვილად მიღალატა, — მან ჩემთან სიმღერა არ ინება. თუმცა ჩემსა და ამ საზოგადოების შორის მართლაც არავითარი „ანტაგონისტური დამოკიდებულება“ არ არსებობდა და არც არსებობს, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ მან მიღალატა. ამას თვით ქოროს გამგეობაც აღიარებს თავის წერილში, როცა ამბობს, რომ, ამა და ამ მოსაზრებით, და ამა და ამ მიზეზის გამო, ფოცხვერაშვილის კონცერტში მონაწილეობაზე „გადაჭრით უარი“ ვუთხარითო. სწორედ ეს „გადაჭრილი უარი“ იყო ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელმაც ჩემი კონცერტის საქმე არივ-დარია, და ისე დიდებულად დაგვიძგვინა, როგორც ამას ბ-ნი „ჯაფარ-ფაშა“ აღწერს. (წარმოდგენის კონცერტული განყოფილება სრულიად მოსპობილ იქმნა, ამისათვის მის უფერულობაზე ლაპარაკი მეტია. „პირმშე“ კონცერტი არ არის). ქორო თავის უარს ბევრნაირად ასაბუთებს; მე კი მგონია, უმთავრესი რამავიწყდება. ქორომ პირველ ყოვლისა განმიცხადა: „სანამ ჩვენთვის არ გამოვალთ სცენაზე, ჩვენს სასარგებლოდ არ გავმართავთ კონცერტს, სხვასთან გამოსვლა და სხვის სასარგებლოდ სიმღერა ჩვენ არ შეგვიძლიანო“. აი, უარის უმთავრესი და უძლიერესი საბუთი, და არა ის იმერული ბოდიში, რომლითაც ქორო თავის წერილს აჭრელებს, რაც შეეხება ქოროს მხრივ ჩემდამო საყვედურს, უნდა ვსთქვა, რომ იგი უსაფუძვლოა. რუსეთში, სადაც მე საქმე მქონდა დახელოვნებულ ქოროებთან, რომლებიც მართლა „მამაო ჩვენოსავით“ კითხულობენ ნოტებს, მე უფრო დავრწმუნდი, რომ ჩვენში, არამც თუ ქოროში მომღერალნი, არამედ თვით ქოროს წინამძღოლნიც კი ხშირად მოკლებულნი არიან ნოტების შესაფერ ცოდნას. დასასრულ ვეკითხები ქოროს გამგეობას: როდის მნახეს კონცერტში უქოროვოდ?! თუ ოდესმე აკომპანიმენტის დასაკრავად გამოვსულვარ, ამისათვის ქოროს გვერდში ყველა ხომ სავალდებულო არაა!

**ჭ. ფოცხვერაშვილი.**

---

მოების ასახსნელი, რომლითაც ჩვენს საზოგადოებას წლევანდელ უკეთეს მოსავლიდან არაფერი რჩება — გარდა მწირე შრომისა და სასოწარკვეთილებისა.

რუსეთშიც არსებობდა ალვირ-ახსნილ ჩარჩ-სპეკულანტების ასეთი „თავისუფალი ვაჭრობა“, ნაწარმოების საბაზრო ფასების დაქვეითება და სხ., მაგრამ გამოღვიძებული საზოგადოება ერთიანად ახმაურდა ჩარჩების წინააღმდეგ და მთავრობის ფულისა და ძალის საშუალებით რამდენადმე ალაგმეს მათი თავ-ვასულობა.

მწარმოებელ — გლეხებს, რომელსაც თავისი ოქრო-საქონელი ჰქონდა და სიღარიბის გამო იძულებული იყო მცირე ფასად გაეყიდა, მთავრობამ გაუხსნა მათ უფასო და დაბალ პროცენტიანი, მოკლე ვადიანი, სესხი — პურის დაგირავებ შენახვით, რომ ბაზრის უკეთეს კონიუნკტურისათვის შემოეცადა. მართლაც, ვინაიდან პურის ბაზრის პირობების შესწავლა გვარწმუნებდა რომ ფასები უნდა აწეულიყო, ამ გარემოებით, ხალხმაც და თვით ხაზინამაც დიდ-ძალი ფული მოიგო. მარტო ბაზრის პირობების შეგუებით რუსეთმა 400 მილიონ მანეთზე მეტი სარგებელი ნახა.

მაგრამ ჩვენში? ვინ აქცევს ყურადღებას პროვინციალურ საბაზრო პირობებს? ვინ ფიქრობს მწარმოებელ გლეხს ფულით დახმარება გაუწიოს და უკიდურესი სივიწროვე მაინც ოდნავ შეუმსუბუქოს? განა ბიუროკრატი იზამს რასმეს, თუ კი ხალხის მესაიდუმლენი და მოამაგენი სდუმან და ხმას არ იღებენ? ჩვენ არ ვიცნებობთ ბაზრის პირობების განსაკუთრებით გამოყენებაზე და დიდ სარგებელზე ჩვენი მოთხოვნილება უფრო მცირე, მინიატურულია, ჩვენ გვსურს ბაზრის ნორმალური განწყობილება, რომ ალვირწახსნილ თავისუფალ მეტოქეობა-ვაჭრობა-ჩარჩობას საზღვარიც დაედვას.

ვიმეორებთ, ბაზრის პირობების კითხვა ფრიად რთული და საგულისხმიეროა. თუ თვით წარმოებისა და სიმდიდრის გამოჭედვას საზოგადოებამ და სახელმწიფომ თავისი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს, ასეთსავე ყურადღებას მოითხოვს ნაწარმოების რეალიზაცია, განაღდება თუ სათანადოთ გასაღება. ბაზრის პირობებიც — თვით წარმოებასთან ერთად დიდ მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხის ნივთიერ კეთილდღეობის საქმეში. ეროვნული ფონდი — მხოლოდ წარმოებისა და ნაწარმოების რეალიზაციით დგება, და თუ გვინდა პირველი. სიმძლავრე და არსებობა — უნდა ვცდილობდეთ პირველის — წარმოების განვითარებას, მეორეს — ნაწარმოების რეალიზაციის საუკეთესო პირობებში ჩაყენებას. ჩვენში კი უკანასკნელ გარემოებაზე ნაკლებ იტეხენ თავს ეროვნულ წარმოება და ნაწარმოების გასაღება-რეალიზაციის პირობები სათანადო სასურველ პირობებში იქნება ჩაყენებული, როცა მწარმოებელი საზოგადოება შესძლებს თავის საწარმოო ძალების განვითარებ-გაფართოვებას. ამისთვის, წარმოებისა და მის რეალიზაციის კითხვებს. კითხვები ჩვენ მწარმოებელ ძალების მდგომარეობაზე — ჩვენი ცხოვრების უურთულესი კითხვებია და ამიტომ ფრიად საჭიროა ამ კითხვებზე მეტი ყურადღება, მეტი საქმიანობა...

**თევდ. ღლონტი.**

---

## იამავრი, იგივე იამავარი

მოსე ჯანაშვილის წერილისა გამო.
(იხ. „სახ. გაზ.“ 1910 წ. N 175).

ძველის ქართულ მწერლობის დაუღალავ მკვლევარს მოსე ჯანაშვილს შეძენილი მეტად ძველი ტექსტი ქართულ ბიბლიისა, სადაც ტობიას წიგნში ორჯერ ხმარებულია სიტყვა იამავარი:

ა) ...რამეთუ იამავარი ვარი მე და ძე სხუა, გინა ასული არა უვის... გითომ ჩემს დედმამასთა (ტობი 6, 15)
ბ) აკურთხენ ორნი იამავარნი (ტობია, 8, 19).

ბ. მოსე ჯანაშვილისვე მოწმობით, სიტყვა იამავარი, შემოკლებულად თქმული, იხმარება აგრეთვე ქსნის სახარებაში: რამეთუ ასული მარტოთ ესოვა მას და სახელი მისი იამავრი (ლუკა, 6, 42).

შემდეგ ბ. მოსე ჯანაშვილი ბრძანებს, იქ, სადაც ქართულად იკითხება აკურთხენ ორნი იამავარნიო, რუსულ თარგმანში ჰსწერია პომილოვალ დვუხ ედინოროდნიხ, ხოლო სომხურში ვოლორმეც არ ერკოცუნც მიამორუცს ო, მაშასადამე, იამავრი და სომხური მიამორ (ვიდის ერთა, ჭარუმადათი) ერთი და იგივე უთქვიდა და ქსნის სახარების იამავრი უნდა იყოს მხოლოდ შობილი = დედის ერთა = ჭარუმაჭათი = ჭარმაჭარა (უწყრულ-მოწყრულა), ე. ი. ის ერთად-ერთი იმარტო (?) (იამავრი), რომლის ამარს (?) დარჩენილან მისი დედა და მამა.

ქსნის სახარების მოყვანილი ტექსტი ან ხმარებულ ქართულ ასსარებაში იკითხება ასე: რამეთუ ასული მარტო ესვა მას (ლუკა, 8, 42), ხოლო ოსტერვალდის ვერსია (Sainte Bible, version d' Ostervald, Paris, 1894) შემდეგია: Parce qu'il avait une fille unique (Luc, 8, 42). მდაბიურადრომ გთარგმნოთ, იქნება: რადგანაც ერთად ერთი ასული ჰყავდაო. უეჭველია, ფრანგული unique და მარტო თარდი სიტყვებია, ერთნაირ აზრის შემცველი, ხოლო ქსნის სახარების ტექსტი: რამეთუ ასული მარტოთ ესოვა მას და სახელი მისი იამავრი უნდა წაითვალოს შერყვნილად. იამავრი იგივე მარტოა, რასაც ჰმოწმობს ფრანგულისა და აწინდელის ქართულ სახარების ტექსტი, აგრეთვე თვით სომხური მიამორ, რომელიც იგივეა, რაც სიტყვა იამავრი, მდაბიურად გამოთქმული.

ქსნის სახარების აღნიშნული ტექსტი საინტერესო დოკუმენტია სარწმუნოებრივ ბრძოლისა ქალქედონიტთა და იმათ შორის, რომელნიც მისდევდნენ ძველ წესებს და იყვნენ ერთობაში სომხის ეკლესიასთან.

ბ. მოსე ჯანაშვილის ზემო-ყვანილ იამავრის ლინგვისტიური განმარტება თითქოს გვითხრობდეს ავტორის სურვილსა იამავრი, იმარტო და ამარი ერთი და იგივე სიტყვები იყვნენ. იამარტო, არ ვიცი, სადაურია, მარტო კი ნამდვილი ქართული სიტყვაა. ლინგვისტიურად არის მ პრეფიქს-დართული არტ, რომელიც იგივეა, რაც მეგრულ-ჭანური ართ(ი), ქართული ერთ(ი) და გერმანული ერსტე, სამ თავ ენაში რიცხვის აღმნიშვნელი, მეგრულ-ჭანურ ქართულად რაოდენობა თავის, ხოლო გერმანულად — რიგობითისაა ამარი კიდევ არაბული სიტყვაა, ქართულს ენაში იხმარება განგიაარებითის ბრუნვით ამარად (შეადარ. ამარა) და ნიშნავს ვისმე რისმე, ხელთ ყოფას: ღვთის ამარად, პერანგის ამარად.

მოუთმენლად მოველით, რომ ბ. მოსე ჯანაშვილმა, რაც შეიძლება, მალე გამოაქვეყნოს თავის მიერ ნაპოვნი ქართულ დაბადების ძველის-ძველი ტექსტი. დიდისძიება გვექნება, შევისწავლოთ არა მარტო ქართულ ენის განვითარება, არამედ ის მწერლობაც, რომელიც უთვიდა ჩვენში მთაწმინდელ მამების (ეფთიმე, გიორგი და სხვ.) გამოსვლამდე სამწერლო ასპარეზზე ქალკიდონისტურ ბიზანტიურ-ქრისტიანობის გასავრცელებლად.

**პეტრე მირიანაშვილი.**

---

# მოწერილი ამბები

**წერილი ქართლიდან.** ამ კურთხეულ ქართლში ბევრი რამ მეუმჩნეველი და აღუნიშნელი რჩება და მკითხველი საზოგადოების ყურამდე ვერ აღწევს. პროვინციის კორესპონდენტები იშვიათად თუ აღნიშნავენ ამა თუ იმ ცხოვრების მოვლენას. ისე კი მიყურეს-ძირებულია ყველაფერი.

რუისში ერთად ერთი დუქანი, რომელიც მდებრიშვილებს ეკუთვნის. მათთვის არ არსებობს, არც ნიხრი, არც განონი, ერთი სიტყვით, როგორც უნდათ ისე ექცევიან მეიდგნე საზოგადოებას. საქონელი მათ დუქანში ერთი სამად ფასობს. მაგ. ნავთი გირ. 5 კაპ., (ქარელში ორი კირვანქა — 7 კაპ.) შაქარი — 19 — 20 კაპ. ცოცხი — 25 კაპ. (ქარელში — 15 კაპ.) პირველ აუცილებელ საგნებზე თუ ასეთ აუტანელ ფასებს ახდევინებენ, სხვაზე რაღა იქნება. თუ გლეხს გაუჭირდა და ფულის სასესხებლად მიჰმართა, თუმანში 40 — 50 კაპ. სარგებელს ართმევენ.

რუისში ერთი უცხო მკითხავი მოსულა, რომელმაც უთხრა ხალხს: მე უნდა გიხსნა ხალხი განსაცდელისაგან, ზეცარდმო მოვლენილი ნიშნით დაჯილდოვებული ვარ ღვთისაგან, მხოლოდ საჭიროა გასამრჯელო. არ იფიქროთ შეგაწუხრობთ თუ ფული არ გექნებათ, ხემთგის სულ ერთია დედლებსაც არ დავიწუნებო. ამის შესახებ რამოდენიმე ჭკვიანმა მამასახლისს მიჰმართა: „მოგვაშორე თავიდან გიდაც მატყუარა მკითხავი, ხალხსა ატყუებსო“, როგორც გამოირკვა მამასახლისისათვის ის კი არ უსახლოვნათ მკითხავი, როგორც მატყუარა, მოგვაშორეთ; არამედ შორიდან მოსულია და შინაურ მკითხავს ლუკმას ართმევსო.

**ადგილობრივი მცხოვრები.**

---

**ხმა ზემო იმერეთიდან.** ზემო იმერეთის სოფლები დიდს ჩამოქვეითებას განიცდის, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. განსაკუთრებით ზემო იმერეთის სამხრეთი ნაწილი. მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია აქ, როგორც სამინისტრო, ისე სამრევლო სკოლები.

ქურდობა და ყაჩაღობა ძალიან გახშირებულია. ყაჩაღები სადმე დუქან გასტეხენ და ბოქაული ან მამასახლისი ხალხს აბარებს ყაჩაღების აღმოსაჩენად. მთელი სამუშაო დღე ეკარგება ხალხმე სოფელს, რადგანაც დილიდან დაბინდებამდე კანცელარიის წინ აბანდებენ. ცრუმორწმუნეობას ჩვენს ხალხში დიდი გასავალი აქვს, მათი ყურადღება მკითხველებს მიუპყრიათ. ესენივე ასრულებენ ექიმობის მოვალეობას სხვა და სხვა გვარი სენმა მოიგიდა ფეხი. სოფ. კიცხში „სტრაჟნიკებია“ ისევ არიან. მათი შენახვა მთელი ატეხის საზოგადოებას აწევს კისრად.

ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ დიდი სამსახური უნდა გაუწიოს ზემო იმერეთს: ქართული სკოლების დაარსებით, წიგნთ საცავ-სამკითხველოების გახსნით (წარმოიდგინეთ, ერთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოც არ არის აქ), სახალხო წარმოდგენების გამართვით, გაზეთების გავრცელებით და სხვ.

წ. კ. საზოგადოება, იმედია, უყურადღებოდ არ დაგვტოვებს და დაგვეხმარება ხალხის განათლების საქმეში. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ხალხის გულშემატკივარნი ისეთ ენერგიულ ზრუნვას გამოიჩენენ, ხალხი გამოფხიზლდება და „მოსე მწერლების“, და იმათი მშრომელებს აჰყვება.

**ქ. ლორთქიფანიძე.**

---

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენები და ბენეფისები.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება სუვორინის და ბურენინას ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „მედია“, რომელშიაც მთავარ როლს შეასრულებს ახალგაზდა ნიჭიერი ქალი ანეტა ჩირგაძე, რომელმაც ისე აშკარად და ერთბაშად თავი ისახელა შარშანდელ სეზონში. ამავე საღამოს პირველად გამოვა სცენაზე დრამატიულ კურსების მოწაფე ქალი ცაცა ამირეჯიბი, რომლის სასარგებლოდაც იმართება ეს წარმოდგენა, რადგან კიდევ ორი წელიწადი უნდა დაჰყოს მოსკოვის სამხატვრო თეატრის კურსებზე. დანარჩენ როლებს შეასრულებენ ვ. გუნია, გედევანოვი, ბუდუ მდივანი და სხვები.

იმედია, საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ საინტერესო წარმოდგენას და ახალგაზდა მსახიობს საშუალებას მისცემს სწავლის გასაგრძელებლად.

**ვასო აბაშიძის ბენეფისი.** კვირას, 12 დეკემბერს, ქართულს თეატრში, გაიმართება პირველი ბენეფისი წლევანდელ სეზონში ჩვენის სცენის დამსახურებულ და ნაჭიერ მსახიობ ვასო აბაშიძისა, რომელიც ოცდა ხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ღირსეულად ეწევა უღელს ქართულ სცენაზე. აბაშიძე თავის საბენეფისოდ სდგამს მოლიერის ცნობილ კომედიას „ქმართა სკოლას“, რომელიც გადათარგმნილია პირდაპირ ფრანგულ ენიდან ვანო მაჭავარიანის მიერ. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე მხიარული ვოდევილი „გულმა იგრძნო“. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას ღებულობს ტასო აბაშიძე, რომელიც წელს არ შესულა ქართულს დასში. დასასრულ გაიმართება დიდი დივერტისმენტი — „მუსიკა და დეკლამაცია“, რომელშიაც მონაწილეობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ტასო აბაშიძე, და ბ-ნნი იოს. მაჭავარიანი, კანდელაკი, მელვინეთ ხუცესოვი და თვით მობენეფისე, რომელიც შეასრულებს კომიკურ კუპლეტებს „606“.

---

**ქართველ მსახიობთა ბენეფისები.** გამგეობას უკვე კენჭი ჩამოუტარებია ქართველ მსახიობთა შორის და ბენეფისები რგებიათ შემდეგ პირებს: ვ. აბაშიძეს 12 დეკემბერი, ი. ზარდალიშვილს — 30 დეკემბერი, ალ. კარგარეთელს — 13 იანვარი, ვ. გუნიას — 16 იანვარი, ნ. დავითაშვილს — 20 იანვარი, ელ. ჩერქეზიშვილს — 27 იანვარი, ლადო მესხიშვილს — 2 თებერვალი, ნ. ჯავახიშვილს — 10 თებერვალი და ვ. შალიკაშვილს — 17 თებერვალი. სეზონი დასრულდება 20 თებერვალს.

ამ რიგად, წელს ქართულს თეატრში გაიმართება 9 ბენეფისი.

ხოლო 21 დეკემბერს, სახაზინო თეატრში, გადახდილ იქნება დიდის ზეიმით კოტე მესხის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე. საზოგადოება უკვე ამ დღისთვის დიდ მზადებაშია და, როგორც გადმოგვცეს, პროვინციებშიაც იქნება შესაფერისად გადახდილ კოტე მესხის იუბილე.

---

**ქუთაისი.** დღეს, 9 დეკემბერს ქალაქის თეატრში, მიდის ახალი, პიესა, ლევ ტოლსტოის რომანიდან გადმოკეთებული „აღდგომა“. ეს წარმოდგენა საინტერესოა კიდევ მით, რომ ბენეფისია ახალგაზდა და ნიჭიერ ქალის მარო მდივანის, რომელიც აგერ ათი წელიწადია, რაც კეთილსინდისიერად ემსახურება ეროვნულ სცენას,

მობენეფისე შეასრულებს „ეკატერინე მასლოვას როლს.

პიესა სთარგმნა შ. დადიანმა.

---

**ჭიათურა.** კვირას, 5 დეკემბერს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ქ-ნი ქილარჯიშვილის მონაწილეობით და ა. წუწუნავას რეჟისორობით წარმოადგინეს პროტოპოპოვის ოთხმოქმედებიანი პიესა — „ცხოვრების გარეშე“.

მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ-ნი ქილარჯიშვილი, გ. ნუცუბიძე, ს. ტარუაშვილი, მ. ჭანიშვილი, ვანელი, ვ. გომელაური, ნ. წულუკიძე ვასაძე, ნ. სადარაძე, ნ. სიხარულიძისა, ნაკაშიძე, ა. გოგოლაშვილისა და მ. ჩხეიძე.

ქ-ნი ქილარჯიშვილი ეს მეორედ გამოდის ჭიათურის სცენაზე და ორივეჯერ ნათლად დაუმტკიცა აქაურ საზოგადოებას, რომ, იგი, დაჯილდოვებულია ბუნებისაგან მსახიობის ნიჭით.

ბ-ნმა გ. ნუცუბიძემ თითქმის უნაკლულოდ შეასრულა მზარეულ ოსიპის როლი. კარგი იყო ს. ტარუაშვილი მეეტლეს როლში. არა უშავდარა მირიან ჭანიშვილს. ბ-ნმა ვასაძემ ღარიბ სტუდენტის როლში, უკიდურეს სულიერ ტრაგიზმში მყოფი ადამიანის მაგიერ, უშნო კომიკი მოგვცა. თითქმის ასეთივე იყო ბ-ნი ნაკაშიძე.

ვანელმა ვერ მოგვცა სულით მდაბალი, გაიძვერა, ფლიდი, მლიქვნელი ლაქია. ვ. გომელაურს არა უშავდარა ბატონის როლში. არა უშავდარა აგრეთვე ნ. სადარაძეს, მოახლე დუნიას როლში. სუსტობდა ნ. სიხარულიძისა. მ. ჩხეიძეც სუსტობდა, თუმცა წარსულზე შედარებით უკეთესობა ეტყობოდა.

ვწუხვართ, რომ ქ-ნმა გოგოლაშვილისამ, ქართული საკმაოდ არ იცის, რაც მის გრძნობიერ თამაშს ხელს უშლის. ზანტად ადგნენ მოსამსახურენი, როცა ოსიპმა მათ მდგომარეობაზე ლაპარაკი დაიწყო. მიუხედავად ზოგიერთ ნაკლისა, მადლობის ღირსნი არიან სცენის მოყვარენი უსასყიდლოდ ენერგიულის შრომისათვის.

ხალხი თეატრს იმდენი მოაწყდა, რომ ბევრი უადგილობის გამო უკანვე გაბრუნდა.

საზოგადოდ, ამ უკანასკნელ ხანებში საზოგადოება ძალიან ეტანება თეატრს, რაც ჩვენის აზრით, ბ-ნი ა. წუწუნავას შრომის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. თეატრის ადმინისტრაციას უნდა შევგნოთ, რომ ის წესიერებას საკმაოდ ვერ იცავს, თუმცა მას ამისთვის საკმაო ძალა შესწევს. ხშირად შეხვდებით აქ უგრძნობლიად დამთვრალ ადამიანს და ძუძუ-მწოვარა ბავშვებს, რომელნიც მყუდროებას არღვევენ.

---

**დ. ონი.** 8 გიორგობისთვეს, ონის საკრებულო დარბაზში, წარმოდგენა გაიმართა. ითამაშეს ვ. გუნიას ცნობილი პიესა: „და-ძმა“. წარმოდგენამ, უფერულად ჩაიარა. თუმცა ზოგიერთი უმთავრესი როლები გვარიანად შეასრულეს. მოუმზადებლობა ეტყობოდათ.

**აბდიკანტი.**

---

**დ. ყვირილა** კვირას, 5 დეკემბერს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში გამართეს წარმოდგენა საღამო, ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენის დაწყების წინ, ტოლსტოის პატივსაცემად, დაუკრეს მუსიკა და ფეხზე ადგომით პატივი სცეს. წარმოადგინეს „ერთი წამი ბედნიერებამდე“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ბ-ნმა არაბიძემ და ქ-ნმა ნ. გალდავაძისამ გვარიანად ითამაშეს. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გამართეს. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

**მაყურებელი.**

---

## რედაქციის ფოსტა

**ბ-ნ პ. ჭ—ს.** თქვენს წერილს „ჩვენც მოგვისმინეთ“ შეუმოკლებლად ვერ დავბეჭდავთ.

**ბ-ნ ს. ახ—იანს.** თქვენი თარგმანი „პატიება“ — გიუ დე მოპასანისა — დაიბეჭდება.

**მლგ. ლ—ს.** კარგი რამაა ლოცვა, იგი სასოებაზე მიიყვანს დაჩაგრულ ადამიანს, თქვენი „ლოცვა“ კი მხოლოდ რედაქციის კალათამდე აღწევს. თქვენა სწერთ:

„ილოცე ბავშვო შენი ლოცვანი (?)
უფალსა წმინდად შეესმებიან (?)

და შენის ტანჯულ სამშობლო ქვეყნის გულსაც სალმუნად დაესმებიან (?) „ლოცვანი“ რომ გახსოვდეს, საკვირველი არ არის, მაგრამ „შეესმებიან და „დაესმებიან“ რაღა ჯანდაბაა?! გირჩევთ პოეტობას თავი დაანებოთ და ისევ თქვენი ლოცვან-ტიბიკონს დაუბრუნდეთ.

**დაბა თნი ბ-ნ „გაუნათლებელ გლეხს პატარა თნის ხაზოგადოების ხოფ. ონიდან“.** უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც გაუნათლებელი ბრძანებულხართ და კადნიერიც. ჯერ ერთი—რაღაც აბდაუბდას იწერებით, „ეშმაკიც“ კი ვერას გაიგებს, მეორე—„სტატიას“ ხელს არ აწერთ და მესამე—თქვენ „ნაწარმოებს“ უმარკოთა ჰგზავნით. 14 კაპეიკი თქვენს თვალში იყოს, მაგრამ ასეთ საქციელს მეორედ ნუღარ იკადრებთ.

# გარეშე ცნობა

**ტფილისი**

**საშობაო დღესასწაულის გამო.**

შობის დღესასწაული გვიახლოვდება.

სალდათების ბაზარში შობის ხეები მოუზიდნიათ. მშვენიერ მწვანე ფოთლიანი და სურნელოვანი ხეები ბავშვებს ხიბლავს.

ყინვისაგან დაბრაწულნი, მხიარულის სახით იგინი გაჰკივიან:

„შობის ხე, შობის ხე“!

სალდათის ბაზარზე, შობის ხეებს დედა თავის შვილებით ჩაუვლის, ბავშვებს იტაცებს შობის ხე: „დედა, შობის ხე მოგვირთე, გვიყიდე ახალი ტანისამოსი.“

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოდის, შეხედავდენ შობის ხეს და უნებლიეთ შობის დღესასწაული აგონდებათ, საუბრობენ სასყიდელ ტანისამოსზე, თეთრეულზე და სხვა. მზრუნველი და გამრჯელი დიასახლისი სასყიდლებსა ვარაუდობს და თავის ქალ-ვაჟთა საჭიროებაზე ანაწილებს. მოახლე-მოსამსახურე; მზარეული ქალი თუ კაცი, მეკარე, მეეზოვე ერთმანეთში საუბრობენ, თუ საშობაოდ მათი აღები რითი დაასაჩუქრებენ: მაუდის, მატყლის, ბამბეულის, სატინის თუ სხვა რასმე, და ოცნებობენ, რომ ახალ მოდაზე იყოს შეკერილი, ზიზილ-პიპილებიანი მორთული, რომ ალას არ ჩამორჩნენ.

ხელოსნები, დურგლები, მჭედლები, ხარაზები, თერძები და მექუდეები ჰფიქრობენ, როგორმე გადაანარჩუნონ რამდენიმე გროში თავის ნაოფლარიდან, რომ საშობაოდ თავის ოჯახი ახლებით შეჰმოსონ.

**დღესასწაული ახლოვდება**

ჩვეულებრივი, უფერული ცხოვრება რაღაც ახალის მოლოდინშია, ყველა ელის რაიმე სამხიარულოს, ბედნიერებას, ისე ჰგონიათ რომ შობა, ახალი წელიწადი, ნათლისღება რაიმე განახლებას მოუტანს, მთელი ქვეყანა განახლდება, ახალდება წელიწადი, განვახლდებით ჩვენცა, ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაცა.

ყველგან მოსიყვარულობა, სათნოება, გულ თბილობა, ამაგდარობა, ყველა ეს ჩვენს გულში ახალს განცდას იწვევს და ამისათვისაცაა, რომ ტანისამოსის განახლებაცა გვსურს.

ახლი განცდანი შიგნით, ახალი სამოსელი—გარედ; ყველა ჩვენთაგანი მოვალეობადა სთვლის საჩუქრები დაურიგოს მახლობელ-ნათესავების მშობლებს, შვილს, მოსამსახურეს, ღარიბ-ღატაკს, ტანისამოსი და სხვა ნივთი.

ცხადი ყველასა ჰსურს რიგიანი რამ იყიდოს, იაფი და პირიანი სეზონისა შესაფერი საშობაო.

დიდი მაღაზიები ამ უქმეების წინა დღეებში გაჭედილია მუშტრით.

საზღვარ-გარედ და ჩვენს სატახტო ქალაქებშიაც ამ უზარმაზარ მაღაზიებში საშობაო ბაზრობა იმართება იმართება, სადაც ახალ-ახალი რამ საქონელია გამოფენილი; ამ ბაზრობის აზრი გასაგებია: მსყიდველი აშკარად რწმუნდება საქონლის სიავკარგეში და მის სიიაფეში.

ამ ბაზრის დაწყებამდე აუარებელ საქონელს საუკეთესოდ ამზადებენ, უკანასკნელის მოდისას, ნაქრობით, სუფრის თეთრეულს, ფარდებს, ხალიჩებს, შეკერილ ტანთსაცმელს, ქალის იუბკებსა და კაბებს, ხალათებს, კოპოტებს და სხვა.

აქ ტფილისში, დიდ მაღაზიების მიხედვით, 9 დეკემბრიდან 24 დეკემბრამდე შარშანდელივით საშობაო ბაზრობასა ჰმართავს **პ. ს. დოროშენოვი** სადაც მეტად იაფფასად გაიყიდება აუარებელი საქონელი, როგორც მთავარ მაღაზიაში—სოლოლაკის მაღაზიაში—მიხეილის ქუჩაზე, ლიუტერანთა კირკის გვერდით.

ეს უზარმაზარი იაფობა მაღაზიის ყველა 9 განყოფილებაში იწარმოებს

ეს უდიდესი ბაზრობა დიდად ხელ საყრელია მომხმარებელთათვის, მით უმეტეს რომ ყველას შეუძლიან ღირსების საქონელი საოცარ იაფ-ფასად იყიდოს, ყოველგვარის მოდისა, აბრეშუმისა, მატყლისა მაუდისა და სხვა საქონლისა; სტოლის თეთრეული, ტილო, წამოსასხამი, შალები, სასტუმრო ოთახის სუფრები, შვეიცარიული ყელ-სახვევები, საავეჯო მატერიები და სხ.

ამ საშობაო ბაზრობაზე ყველა იშოვნის საშობაო საჩუქრებს; ქმარი-მეუღლესათვის, ძმა-დისათვის, ბიძა-ძმისწულისათვის სანეფო-დანიშნულისათვის, აღა-მოსამსახურესათვის, ქველმოქმედი-ღარიბთათვის და სხვა

პ. ს. დოროშენოვის ჩვეულებრივმა საშობაო ბაზრობამ შარშან დიდი საქმე გაარიგი და საგაისოდ უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება მყიდველთათვის, ვინაიდან მკვიდრსა და გამძლე საქონელს შესძენს, საოცარ იაფ-ფასად.

ფირმა ტფილისში ამისთანა ბაზრობას მხოლოდ იმისათვისა ჰმართავს, რომ თანხა შეატრიალოს და მოგებაზე სულაც არა ჰფიქრობს, მხოლოდ მკვიდრთათვის არსებით სარგებლობაზე ჰზრუნავს.

**გამვლელი.**

# განცხადებანი

**სამშობიარო თავშესაფარი**

**ბებიაქალის**

**მ. ი. ფოროსტიანოვისა**

მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით. არის აგრეთვე საიდუმლო ოთახები.

რეუტოვის ქ. № 10. (100—1)

**მშობიარეთა თავ შესაფარი**

**✦ბებია ქალი✦**

**მ. ი. კრემერისა**

**ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.**

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელათ—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგათ უვლიან, საექიმო დახმარებას ჰმუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოთ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავად მყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½ 11½ საათამდე (100—1)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოლევის მრეწველობისა.

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**✦ ახალ-ახალი ✦**

**ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).**

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). ხ0 კ. 60 კ. გირ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—51)

ერთად-ერთი ხაწყობი ფითოლევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

„შ რ ა პ ნ ი ს„ ა მ ხ. გ ა მ ო ც ე მ ა

გამოვიდა გასასყიდად

I

**1911 წლის კედლის კალენდარი**

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.

II

**სახალხო კალენდარი 1911 წ.**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარში ჩართულია მრავალი სურათები და ქარტა საქართველოსი. ფასი 20 კ. კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და კავკასიის რკინის გზის შკაფებში.

ვისაც ჰსურს გასაყიდად გამოიწეროს, მან უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით Тифлисъ, Т-ва „Сорапанъ“. (18—244—4)

**ტანისამ[ოს]ის მკერავი**

**ი. ნ. სვანიძე**

**ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთელებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარგარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

**◀ ჩემის ხელმძღვანელობით ▶**

**ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.** (20—127—19

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

**მ. ლაღიძისა და ამხ.**

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

**◀ წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მედლით. ▶**

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—18)

**მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა**

**●●● გრანდ-კახეთია ●●●**

**შუა ბაზაზარი, სახლი 13.**

ფასები: **ბოთლი 20—50 კ.**, ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.

ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—4) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა და ს. სამადაშვილი.**

ყოველ წლიური ჩვეულებრივი საშობაო ბაზრობა.

ყოველ წლიური ჩვეულებრივი საშობაო ბაზრობა.

# პ. ს. დოროშენოვის

**მ ა ღ ა ზ ი ა შ ი**

1) მთავარ მაღაზიაში—სოლოლაკის ქუჩაზე ტელეფონი № 583. 2) იაროსლავის მაღაზიაში—მიხეილის ქუჩაზე ტელეფონი № 838.

**შარშანდელივით**

# საშობაო ბაზარი

**უდიდესი იაფი ვაჭრობა**

**14 დღეს 9-დან დამოკიდებული 24 დეკემბრამდე ე. ი. 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 21, 22, 23 და 24 დეკემბრამდე.**

**საშობაო ბაზრობაზე დიდი სიაფე** გასასყიდი იქნება სეზონის საქონელი (ყველა ცხრა განყოფილებაში) რომელიც **საოცარ იაფ ფასებში გაიყიდება:** ამასთანავე მომავალ საშობაო და საახალწლო საჩუქრებისათვის აუარებელი იაფ ფასიანი და საჭირო ნივთებია.

მყიდველთა ყურადღებას ვაქცევ გადაათვალიერონ ახალ მიღებულ აუარებელ საქონლის სიას, რომელიც **მეტად იაფად გაიყიდება:** სატანისამოსო ტრიკო, საპალტოე დრაფი, მაუდეული, ფლანელი, საშალვრეები, საქილეტე, დიაგონალი; პლუში ქალთა კაბებისათვის; სამანდილოსნო მაუდი, საშეგირდო მაუდი, წამოსასხამი შალები, მატყლისა და აბრეშუმის მატერიები; ველვეტი, მატყლის მატერიები საკოსტუმო, სახალათე და კაპოტისა. ბამბეულის ქსოვილები, და ჩითეულ-ბამბაზია, სატინა ფულიარი, მუსლინი, ტილოულობა, ოკსფორდი და სხვა. ზამთრის საბნები, შალები და თივთიკის ცხვირსახოცები; საავეჯო მატერია: პლიუში, მაკეტი, ტრიპი; კარის ფარდები; შვეიცარიის ფარდები, ტულის ფარდები, ფარდაგ-ხალიჩები, დოროჟკები, მატი, სტოლის სუფრები, სასტუმროს სუფრები, სტოლის თეთრეული, საცვლებისათვის, საგანგებო ბამბეულის ქსოვილები; ბოჭკოიანი პირსახოცები და ზეწრები; ტილოები სასუფრე, და საპირსახოცე; სახიანი სუფრები, სხვა და სხვა; ცხვირსახოცები, მტვრის საწმენდი სამზარეულოები; მამა-კაცთა და მანდილოსანთა მზა-ტანისამოსი; ქალის იუბკები, კაბები, კაპოტები, ქალთა ხალათები; შვეიცარულად შეკერილი; ყუვის ბალიშები, ბალიშის პირები, საბნები დალიანდაგებული, ატლასისა და მატყლისა; ნაქსოვი თეთრეული პროფესორ ეგერის სისტემისა; კურტკები, პიჯაკები, ხალათები და ნაქსოვი მატყლის იუბკები, ჩულქები, წინდები, მატყლის ნაირნაირი საბავშო ქსოვილები—საყელოები, გალსტუხები, შალვრის „მიშველე“, ზაპონკები და სხვა. გარდა ამისა გასასყიდი დიდძალი **ნარჩენები**—მაუდისა, მატყლისა, ტილოსი, და ბამბეულის საქონელი.

ყველა ეს საქონელი ზემოაღნიშნულ დღეების განმავლობაში გაიყიდება.

**განსაცვიფრებელ იაფ ფასებში**

**უმთავრეს და ი ა რ ო ს ლ ა ვ ი ს** მაღაზიების უზარმაზარ ვიტრინებში გამოფენილია საქონლის ნიმუშები ყველა ცხრა განყოფილებაში **გასაოცარ იაფ ფასების აღნიშვნით.**

**პ. დოროშენოვი.**

(1—267—1)